საბჭოთა საქართველო 50 წლისაა

ხვალ — 27 თებერვალს, დილის 10 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას დაიწყებს საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობა

„სამშობლო“

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 4 (260). გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 26 თებერვალი





„სამშობლო“ ფოტო — 71

- ღამის თბილისი.
- დიადი 50 წლის ორი პირმშო — არსენ კობაიძე და კობა ჩოხელი (იხ. მე-2 გვ.).
- ფეხბურთი.

ისტორიული ფორუმი

27 თებერვალს თბილისში გაიხსნება საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობა. ყრილობა შეაჯამებს რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მიღწეულ გრანდიოზულ წარმატებებს და ახალ ღონისძიებებს დასახავს სახალხო მეურნეობის, ეროვნული კულტურის აყვავებისა და ქართველი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ამ ისტორიული ფორუმის დელეგატები არიან კომუნისტი მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერნი და ინჟინრები, აგრონომები და ტექნიკოსები, მწერლები და ხელოვნების მოღვაწენი, ექიმები და მასწავლებლები, მაღალი მოსავლიანობისა და მზიური ბარის მშრომელთა მოწინავე წარმომადგენლები. დელეგატებს შორის არიან: მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ მუსხელიშვილი, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-მჭედელი კონსტანტინე ილურიძე, თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ზეინკალი და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გიური წულაია, რუსთავის ქიმიური კომბინატის ახალგაზრდა ქიმიკოსი სვეტლანა აბულაძე, მოწინავე მევენახე ლოლია შერგელაშვილი და მრავალი სხვა.

ყრილობის მაღალ ტრიბუნიდან სიამაყით ილაპარაკებენ ქართველი მეტალურგების, ავტომშენებლების, ელმავალმშენებლების,

(დასასრული მე-2 გვ.).

დიდი დამსახურებისათვის

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ მუსხელიშვილი მეცნიერების განკითარებისა და მეცნიერთა კადრების მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოც წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

ორიოდე დღის წინ გამოჩენილმა მეცნიერმა კიდევ ერთი დიდი ჯილდო მიიღო — იგი სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად დაჯილდოვდა.

იტალიური გვირგვინები ქართველი გმირის საფლავზე

ზუსტად ერთი წლის წინათ იტალიიდან ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა მოვიდა:

ფაშისტ დამპყრობთაგან იტალიის განთავისუფლებაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისათვის იტალიის უმაღლესი სამხედრო ჯილდო „წინააღმდეგობის ოქროს მედალი“ და იტალიის ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა საქართველოს საამაყო შვილს **ფორე მოსულიშვილს.**

ბარათს ხელს აწერდა იტალიაში პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი, ამჟამად იტალიის პარლამენტის დეპუტატი **ერალდო გასტონე** (პარტიზანული მეტსახელი — ჩიარო).

დედასამშობლომ კიდევ ერთი საამაყო შვილის გმირობისა და თავგანწირვის ამბავი შეიტყო. 1944 წელს იტალიაში ვაჟკაცურად დაცემული ქართველი პარტიზანის შესახებ ქვეყანა ალაპარაკდა.

ახლახან სპეციალური მივლინებით ფორე მოსულიშვილის საბრძოლო ნაკვალევს გაჰყვნენ გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი **ვახტანგ ესვანჯია** და გაზეთ „თბილისის“ განყოფილების გამგე **ედიშერ სიხარულიძე.**

ქართველმა ჟურნალისტებმა საბჭოთა კავშირის რომის საელჩოს თანამშრომლებთან ერთად 17 თებერვალს იტალიის ქალაქ მეინაში გვირგვინებით შეამკეს ქართველი პარტიზანის ფორე მოსულიშვილის საფლავი.

● სამშობლოდან დაშორებით

ისტორიული ფორუმი

(დასასრული)

მევენახეებისა და მეჩაიეთა წარმატებებზე. იტყვიან ზაჰესის, რიონჰესის, ხრამჰესის, ლაჯანურჰესის, შაორის, ჩითახევის და სხვა ელექტროსადგურების ქართველ ენერგეტიკოსთა უზარმაზარ მიღწევებზე, აღინიშნება მშენებელი უდიდესი და უნიკალური ენგურჰესი, რომელზეც ამაოდ ოცნებობდა ჩვენი დიდი მამულიშვილი ნიკო ნიკოლაძე.

ხუთწლედების შედეგად მკვეთრად შეიცვალა საქართველოს მრეწველობა და მის საწარმოთა გაადგილების გეოგრაფიული არე. ახლა მთიანეთის ბევრ კუთხეშიც კი ისმის ინდუსტრიული კერების გუგუნი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა და განვითარდა მრეწველობა აჭარაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

ქართველი მეცნიერებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მონაწილეობით დაჩქარდა მრეწველობის ტექნიკური პროგრესი, გაფართოვდა შრომის მექანიზაცია და ავტომატიზაცია. მარტო შარშან წარმოებაში დაინერგა 16 ათასი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და სამრეწველო პროდუქციის წარმოება. საქართველოს მრეწველობამ შარშან გამოუშვა 14.000 სატვირთო ავტომობილი, 3439 ლითონსაჭრელი ჩარხი, 91 ელექტრომავალი, 1.450 ათასი ტონა ცემენტი და დიდი რაოდენობით მსუბუქი და კვების მრეწველობის ნაწარმი. ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს ელექტროენერგია თითქმის 9 მილიარდი კილოვატ-საათის რაოდენობით. საქართველოს მრეწველობის ნაწარმი ახლა მსოფლიოს 65 ქვეყანაში იგზავნება.

საქართველოს სოფლის მუშაკები განუწყვეტლივ ზრდიან პროდუქტების წარმოებას. გაფართოვდა სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მარტო შარშან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიიღო 3000-ზე მეტი ტრაქტორი, 1593 სატვირთო და სპეციალური ავტომობილი, დიდი რაოდენობით სასოფლო იარაღები და მინერალური სასუქი. გაიზარდა ელექტროენერგიის გამოყენება აგრეთვე სოფლის წარმოებაში. მეურნეობის აღჭურვილობამ ხელი შეუწყო სოფლის მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ზრდას.

ყრილობაზე აღინიშნება ქართველი ხალხის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ხელფასის ზრდა, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების დიდი ნაწილის გამოყენება ხალხის კეთილდღეობისათვის.

საქართველოში ახლა 1350 ათასი კაცი სწავლობს. მარტო მრეწველობაში მუშაობს 70.000 ინჟინერი და ტექნიკოსი, რომელთა უდიდესი ნაწილი ქართველია. მეცნიერთა რაოდენობამ მიაღწია 19 ათასს. ქართველი მეცნიერები წარმატებით იკვლევენ თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა დარგის რთულ პრობლემებს, რითაც თავიანთი დიდი წვლილი შეაქვთ მეცნიერების უშუალო მწარმოებელ ძალად გადაქცევაში.

იერი ეცვალა ჩვენს ქალაქებს, დაბებსა და სოფლებს. აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, კულტურის სახლები, თეატრები, საავადმყოფოები და პოლიკლინიკები.

ქართველი ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის ინიციატივით პარტიისა და მთავრობის სანაცვლო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც ფართო ღონისძიებებს დასახავს ფშავ-ხევსურეთისა და საერთოდ საქართველოს მთიანეთის მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

„უველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“ — ეს კეთილშობილური ლოზუნგი დამკვიდრებულია ჩვენს ქვეყანაში და მისადმია დაქვემდებარებული უველა ღონისძიება. ამ იდეით არის გამსჭვალული აგრეთვე სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ახალი ხუთწლედის მთავარ ამოცანად დასახულია ჩვენი ხალხის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის მნიშვნელოვანი აღმავლობა.

ამის შესაბამისად საქართველოში დაჩქარდება წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, წარმოების ინტენსიური ზრდის უველა შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენება, წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვა. ამის საფუძველზე გაიზრდება წარმოების ეფექტურობა და შრომის ნაყოფიერება. გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის 39-42 პროცენტით გადიდება. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით უნდა განვითარდეს ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, სამშენებლო მასალათა და სახალხო მოხმარების საგანთა წარმოება.

1975 წლისათვის ელექტროენერგიის გამომუშავება უნდა გაიზარდოს 15,5 მილიარდ კილოვატ-საათამდე, რისთვისაც ამუშავდება ენგურჰესი და ვარციხის ჰიდროელექტროსადგური, 320 ათასი კილოვატით გაფართოვდება თბილისის ელექტროსადგურის სიმძლავრე. დაიწყება ახალი სადგურების მშენებლობა, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყინვალის კომპლექსს მდინარე არაგვზე, რომელიც ელექტროენერგიის გამომუშავების გარდა სასმელი წყლით მოამარაგებს თბილისს და მის ირგვლივ მდებარე აგარაკებს, აგრეთვე სარწყავ წყალს მიაწვდის ქართლის ველებს.

გაფართოვდება გაზის გამოყენება განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. საქართველოს მანქანათმშენებლობა გაიზრდება 1,8-ჯერ, ხოლო ელექტროტექნიკური მრეწველობა — 68 პროცენტით. ათვისებული იქნება ახალი სახეობის ელექტროტექნიკური დანადგარები, ზუსტი ხელსაწყოები და ელექტრომავლები. გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის მნიშვნელოვანი გაფართოება, ჭიათურაში მანგანუმის მაღნის მოპოვების მაქსიმალური მექანიზაცია, ღარიბი მადნების გამოყენება.

განსაკუთრებით გაზრდილი პროგრამა იახება მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებში.


ფართო ღონისძიებებია გათვალისწინებული საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობის, კულტურული მშენებლობის, მეცნიერების წამყვანი დარგების განვითარებისათვის.

ახალ ხუთწლედში სახეს შეიცვლის ალაზნის ველი. მალე აღსრულდება შიგნითა კახეთის დიდი ხნის სანუკვარი ოცნებაც— ამუშავდება ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის პირველი რიგი, რომელიც მორწყავს კახეთის ბარაქიანი მიწის 40 ათას ჰექტარ ფართობს.

დიახ, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ახალი წარმატებებით ხვდებიან ყრილობას, რომლისგანაც მოელიან ახალ შთამაგონებელ სიტყვას საბჭოთა საქართველოს შემდგომი აღმავლობისათვის.

ალექსანდრე კოტლავაშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.







სურათებზე: 1. კოლმეურნეობის ეროვნულ საკრავთა ანსამბლი. 2. საკოლმეურნეო ტექნიკა საქონლისათვის საკვების დასამზადებლად მიემართება. 3. კოლმეურნეობის თავმჯდომარე არსენ კობაიძე.



ერთი კოლმეურნეობის ქრონიკა

ზემო ქედში ახალი ცხოვრების მშენებლობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლიდან კომუნისტი კობა ჩხეული ჩაუდგა სათავეში.

1925 წლის 25 ნოემბერს გაიმართა კომუნართა პირველი კრება. ღიმილს ვერ შეიკავებთ ამ კრებაზე მიღებული წესდების კითხვისას. იგი მოითხოვდა ცხოვრებას ახლებურად. კომუნარები (თავიდან ჩვიდმეტნი იყვნენ) ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ერთი ქვაბიდან ჭამდნენ, პირველი მოსავლის ფულით შეიძინეს ტრაქტორი და სალეწი მანქანა...

1933 წელს კომუნა სასოფლო-სამეურნეო არტელად გადაიქცა. წინამძღოლად კვლავ კობა ჩხეული აირჩიეს. თავის მონაცვლეზე რომ ფიქრობდა, თავმჯდომარე სულ უფრო მეტი ყურადღებით აკვირდებოდა საზრიან ყმაწვილს, კომუნის აღზრდილ არსენ კობაიძეს.

მერე ის იყო, 1941 წლის მრისხანე დღეები დადგა. ექვსასი ზემოქედელი ვაჟკაცი დაეცა ბრძოლის ველზე... სოფლის მემორიალურ დაფაზე ამოჭრეს მათი სახელები. მათ შორის არსენ კობაიძის ოთხი ძმა — ნიკოლოზი, მალვა, ვანო და სანდროც არიან...

ომიდან დაბრუნებული არსენი ზემოქედელებმა თავმჯდომარედ აირჩიეს, ახალი თავმჯდომარისათვის ნათელი იყო, რომ ცოდნის გარეშე ბევრს ვერაფერს მიაღწევდა. თვითონაც დაიწყო სწავლა და სხვებიც გაგზავნა ინსტიტუტებსა და ტექნიკუმებში. ამჟამად ზემო ქედის კოლმეურნეობაში 200-ზე მეტი უმაღლესი განათლების სპეციალისტი მუშაობს და ყველა მათგანი სოფლის მკვიდრია.

ვაზის გახარება ვცადოთო, ურჩია თანასოფლელებს თავმჯდომარემ, 4-5 ჰექტარიდან დაიწყეს, ახლა კი ქარვისფერი მტევნები 363 ჰექტარზე მოჰყავთ. შარშან მარტო ყურძნის გაყიდვით კოლმეურნეობამ 1.300 ათასი მანეთი მოგება მიიღო. საერთო შემოსავალმა 3.400 ათას მანეთს მიაღწია. შეძლებულად ცხოვრობენ ზემოქედელები. ბევრი მათგანის ეზოში საუკეთესო მსუბუქი ავტომანქანა დგას. არც სხვა სიკეთე აკლიათ. სახლიც შესაფერი აქვთ და ეზოც კეთილმოწყობილი.

არსენის კვალს მიჰყვება მისი ორავე ვაჟი — თამაზი მეცნიერი მევენახეა, კობა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტია. არსენმა ობლობა არ აგრძნობინა დაღუპული ძმების შვილებს, გაზარდა და ცხოვრების გზაზე დააყენა ძმისწულები.

ზემო ქედში ხშირად ჩამოდიან სტუმრები, მოდიან, რათა ესაუბრონ ადამიანს, 22 წელიწადი რომ უდგას სათავეში კოლმეურნეობას, იყო სკკპ XXI ყრილობის დელეგატი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობის დელეგატი, სამჯერ არჩეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. სტუმრები ათვალიერებენ სოფლის აგურისა და ხე-ტყის საწერ ქარხნებს, სამჭედლო საამქროს, მანქანებისა და ტრაქტორების შემკეთებელ სახელოსნოებს, ორ სკოლას, კლუბებს, სტადიონს, საავადმყოფოს, ფოსტას, ტელეგრაფს... და თვალნათლივ ხედავენ, რა მისცა ზემოქედელებს ახალმა ცხოვრებამ.



● სურათებზე: სოფელი ზემო ქედი ზამთარში. არსენ კობაიძის ოჯახი.

Հայկական ռազմավարական ուժերի հրամանատարությունը

Հայկական ռազմավարական ուժերի հրամանատարությունը հաղորդում է, որ 1990 թ. մայիսի 26-ին ժամը 9-ին Հայկական ռազմավարական ուժերի զորամասերում տեղի կունենա զորակոչիկների առաջին զանգվածի ընդունելությունը։

Զորակոչվում են 1990 թ. մայիսի 26-ից մինչև հունիսի 15-ը ներառյալ ծնված տղամարդիկ։

Զորակոչիկները պետք է ունենան իրենց անձնական իրերը, սպասքը, սնունդ 3 օրվա համար, ինչպես նաև տեղական ինքնակառավարման մարմինների տրամադրած ճանապարհային փաստաթղթերը։


Զորակոչիկները պետք է ներկայանան զորակոչային հանձնաժողովներ՝ ըստ իրենց բնակության վայրի։

Զորակոչիկների ցուցակները կազմվում են ՀԽՍՀ զինկոմիսարիատների կողմից։

Զորակոչիկների ցուցակներում ներառված անձանց, որոնք առանց հարգելի պատճառների չեն ներկայանում զորակոչային հանձնաժողովներ, կենթարկեն քրեական պատասխանատվության։

Հարգելի զորակոչիկներ, ձեր ներկայությունը զորակոչային հանձնաժողովներում պարտադիր է։

Հայկական ռազմավարական ուժերի հրամանատարություն



Ֆոտո Ա. Մարտիրոսյանի

Ռազմական դրության մեջ

Ռազմական դրության մեջ գտնվող Ադրբեջանի Հանրապետության տարածքում ստեղծված իրավիճակի կապակցությամբ ՀԽՍՀ Գերագույն խորհրդի նախագահությունը հրամայում է.

1.

ყოველ წელიწადს რაღაც კვდება შენში.

ერნესტ ჰემინგუეი.

I.

ყველაზე ადამიანურ ამბებს თვითონ ადამიანის ცხოვრების რეალურ სურათზე ამოიკითხავ — რომანტიკულ თავგადასავლებსაც და იდუმალ, მწვავე ინტიმსაც. როცა ძალიან ახალგაზრდა ხარ და შენი დაწესებულების დაწვნეული ოთახის ჩარჩოებში მოქცეული მრავალი თვის განმავლობაში მხოლოდ იმაზე ფიქრობ, თუ რა გზით შთაუბერო ახალი სული შენს თითქოს მოხელეობრივ საქმიანობას და მწველი ჭაბუკური შეგრძნებებისაკენ ისწრაფვი, გრძნობ, როგორ გიტაცებს და გიმორჩილებს მწარე ნაღველი. ამას ჰქვია დიდი ცივილიზებული ქალაქების მკვიდრთა სულიერი კლაუსტროფობია, ანუ ჩაკეტილი, მონოტონური ყოველდღიურობით გამოწვეული შიში. მხოლოდ ლაღი, ანგარიშმოუცემელი და მეოცნებე მეგობრების სიახლოვე თუ გაგარღვევინებს ამ ჩარჩოებს და გადაგტყორცნის იქით, აუურული განცდების შესახვედრად.

და აი ხშირად ჩვენს ქალაქს საღამოს ნიავი რომ ჩამოურბენს ხოლმე და წელაწყვეტილ არსებათა მზემოკიდებულ - მაღალ კანტებს შეეთამაშება აშრიალებულ ჭადრებქვეშ; ორგვლივ გორაკები ჟრუანტელის მომგვრელ ფერს რომ აიკრავს და დაწნეხილი ოთახი კი მაინც გიტოვებს თავისი განზომილებების მოუშორებელ ნალექს, გრძნობ — შენი სიცოცხლის კიდევ ერთ ღეს დაეკარგა სახელი და ასე გგონია, საღამოთი მაინც იმოვი იმას, ღილით შენივე ნებით რომ დაკარგე...

ორ მეგობართან ერთად, რომელთა მტკიცე მხარდაჭერითაც ლამის მთელი დღის თავისუფლება გამოვტაცე ჩვენი ორკვირეული გაშვების რედაქციას, ომის ინვალიდებისათვის უფასოდ გამოყოფილ და სიით დარიგებულ ციცქნა ყვითელ „ზაპოროჟეცს“ მთელი სისწრაფით მივერეკებოდით საქართველოს სამხედრო გზაზე, ვითომ, ვიყავით კი ოდესმე ძველი სამხედროები?!... „ილუმინატორები“ გაღებული გვქონდა და პაწია მექანიზმში ჩაყუჟულები დგუშებივით ამუშავებული ჯანმრთელი ფილტვებით ვისრუტავდით არაგვის ხეობის კრიალა, წრფელ ჰაერს. ყველაფერი ნაღდი იყო — სულ პირველი სერიული გამოშვება „ზოჭოს“ ჟუჟუნიც და სივიწროვეც, და მზით აელვარებული გზატკეცილი, სიწმინდისა და სიმშვიდისკენ რომ გვწევდა. აქ ჩვენ, მართალია მცირე ხნით, მაგრამ მაინც ვიზიარებდით იმ გულწრფილა ჩიტბატონების აღტაცების ჟივილ-ხივილს, გალიის კარს რომ გამოუღებენ ხოლმე პატრონები.

აქ ჩვენ არავის ვაწუხებდით. მხოლოდ მივჭროდით და მივერეკებოდით მანამდე, სანამ დიდებული ანანურის შორიახლო მდინარის პირას არ გავჩერდით. აქეთ-იქიდან ვეებერთელა აფოთლებული მთები დაყუდებულიყვნენ და ბიჭებს ვუთხარი, აქ ძალიან კარგი სამონადირო ნაკრძალია-მეთქი.

ბიჭები ქუთაისელები იყვნენ. ერთი — ტანდაბალი და უულვაშო, პროფესიით ავტომექანიკოსი, რომელსაც სჯერა, უდიდესი რომანისტის ნიჭი იმალება ჩემში და პატრონი არა მყავს, რომ გამომაჩინოსო. მეორე კი, ტანმაღალი და ულვაშიანი — მეტყველ ინჟინერი, რომელიც ამ ბოლო ხანს თბილისის სატელევიზიო ფილმების სტუდიაში განაგრძობს სეზონურ მოღვაწეობას მოკლემეტრაჟიანი ფილმების დირექტორად და რომელსაც ერთი გულუბრყვილო ჭია უღრღნის გულს — წერა რომ სცოდნოდა, მისი სახით უდიდესი სცენარისტი მოევლინებოდა ქვეყნიერებას. თუმცა, ამას ისე გუუბნებით, სხვათა შორის. მათი ღირსებები სულ სხვაგვარი ხასიათისაა, ვიდრე თვითონ ჰგონიათ. საოცრად მრავალმხრივი და ჭრელი ურთიერთობა უამრავი პროფესიისა და ასაკის ხალხთან უდიდეს მასალას აძლევს მათ ამა თუ იმ საინტერესო სიტუაციებისა და მოულოდნელი, მაგრამ ჭეშმარიტი ისტორიების ანალიზისა და ზეპირმეტყველების მეტად მიმზიდველი და რომანტიკული გადახარშვისათვის, რომელსაც საინტერესო მოყოლა ჰქვია. მათთან არავის არასოდეს მოუწყენია და კალამიც, ნამდვილად, აქ უკვე აღარაფერ შუაშია.

ჰოდა, აი ვიდექით წყლის პირას. სახე გავიგრილეთ აწკარა არაგვით და უცებ, რატომღაც ხმამაღლა გავიხსენე, ამ არემარეში დაახლოებით 2.000 წელი ჰყავთ-მეთქი, იმდენი, რომ ამას წინათ, ზამთრის დიდი ყინვების დროს, ეს ნაზი ცხოველები სითბოს საძებნელად პირდაპირ სოფლებში ჩამოდიოდნენ და საბრალოებს ხელით თურმე ბავშვებიც კი იჭერდნენ. ბიჭებმაც იკითხეს, ირემი რამდენიღა ჰყავთო. სიმართლე გითხრათ, ეს არ ვიცოდი, მაგრამ უმალ მოვიშველიე ის, რაც ერთხელ მიამბეს დუშელებმა და რომლის დავიწყებაც უბრალოდ არ შეიძლებოდა.

ამ რამდენიმე წლის წინათ, სადღაც ამ გზაზე, მოსახვევში მთელი სისწრაფით ზემოდან მომავალ ცისფერ „ვოლგას“ გზის იქით მხრიდან ფერდობზე ჩამოსული და აქეთკენ, წყლისკენ ჩვეიდად მომავალი ულამაზესი ხარირემი დაეფრთხო. ირემი ასფალტის გზაზე გადმოსულა და ავტომანქანას არ შეჰფეთებია?! შეჰფეთებია და დამფრთხალა ტყის პირმშო. გვერდზე გახტომა ვერ მოუსწრია და თავის მრავალნაცად ფეხებს დანდობილი მთელ გზატკეცილზე ელვის სისწრაფით გავარდნილა. უზარმაზარი ქორბუა რქები მხრებზე გადაეწყო, ვაჟკაცური მკერდი ნიავისთვის მიეშვირა და ქარივით მიქროდა თურმე ნესტოებდაბერილი. უკან კი, თითქოს ჩვენი ბუნების მშვენების განუყრელი ნაწილი ყოფილიყოს, [illegible] 75 ცხენის ძალიანი ლითონის კოლოფი აჰკვროდა მხრივით ჯინმორეული და თვალებგაბრწყინებული მძღოლითა და მგზავრებით. არ ვიცი საითკენ უმიზნებდნენ, მაგრამ ერთი კი ცხადია — ისინი მისდევდნენ უწმინდეს არსებას, თავისსავე სამფლობელოში გზაზე გადასვლაც რომ აუკრძალეს. საინტერესოა, ამდენს გაირბენდნენ ადუღებულ ასფალტზე? გაფრენილ ღვთაებას ხომ შლეგი ჯიქი მისდევდა. და როცა ის-ის იყო ტყეში უნდა დაბრუნებულიყო, სასოწარკვეთილმა ჭორუდამ ერთი კი მოხედა მდევარს, ერთი კი შეჰყვირა დედა-არაგვს მთელი ხეობის გასაგონად და მოსწყდა გზის კიდეს. მანქანის მძღოლი კი, უკანასკნელად რომ უსწორებდა საჭეს თავგანწირულ მსხვერპლს, ამ საბედისწერო ჟამსაც თავისი მხეცური ერთის ერთგული დარჩენილა და ერთგულად მიჰყოლია მსხვერპლს.

...იქ განსაკუთრებით ღრმა მორევი ყოფილა. მეორე დღეს ამოულიათ ერთიანად დამტვრეული ქორბუდა თავის გულღრძო მდევართან ერთად. ორმოცდაათმეტრიანი სიმაღლიდან აქაფებულ წყლის ნაკადში ჩამხრჩვალა ვიღაცის პრინციპი. ასეთნაირად ჩაუკრავს გულში თავისი პირმშოც და ცისფერი კრიალა „ვოლგაც“ პირუთვნელ არაგვს.

ეს ყველაფერი მოკლედ გადავეცი ბიჭებს და თან მივაყოლე, რა კარგი ანონოველის გადაღება შეიძლებოდა-მეთქი თავისი ტემპით, ფერებითა და ტრაგიზმით? ბოლო კადრებიც კი ლამის თვალწინ დამიტრიალდა: ცაში, ანუ უფსკრულში გაფრენილი მხრებზე რქებგადაწყობილი ულამაზესი ირემი და „ვოლგა“, რომლის მგზავრებსაც ჯერ სიხარულმა, ხოლო შემდეგ მძვინვარე მორევის შემზარავი მსხვილი პლანის ხილვამ როგორ დაუმანჭა სახე. თუმცა, ეს უკვე ჩემი საკუთარი უნიჭო რეჟისორული ხედვის შედეგი იყო და მეტი არაფერი. ავტომანქანის კაპოტზე ნიკელის აფრენილი ირემიც წარმომესახა, თითქოს ამ პატარა თავგადასავლის ლოგიკური სიმბოლო, მერე მიწაში ხოჭასავით ჩამძვრალ ჩვენს პაწია „ზაპოროჟეცს“ შევხედე, რომლის სიმბოლო ალბათ სულ სხვა სიუჟეტში უნდა მომეძებნა, და უნებურად გამეცინა.

— შენ იცინი და, მართლა კარგი რამ გამოვიდოდა, — შეაფასა ნაამბობი მეტყველე ინჟინერმა.

— ეჰ, წერა რომ ვიცოდეთ... — თქვა სინანულით ავტომექანიკოსმა. — რაებს დავწერდით მაშინ!... ვის რად უნდა ეგ შენი ხმელ-ხმელი რეპორტაჟები? ჰა, დევი, რას იტყვი?.... ჩვენი სიუჟეტი რომ რამედ ივარგებდეს!? — თან თვალი ჩაუკრა. — სულ გულ-დვიძლს დაუმძარავდა მკითხველსაც და მაყურებელსაც. მაგრამ რა გინდა, რა... პატრონი არა გვყავს, პატრონი!


შემოგდებული ფსიქოლოგიური პაკეტი ყოველთვის ავანტიურისტულია. აბა, გადმოაფრქვიე-მეთქი. არაო, ეს ამბავი უღვინოდ არ ითქმებაო. მე გიამბობ და შენ თუ გინდა, კარგად დაიხსომე, იქნებ გამოგადგეს რამეშიო, და თან, მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა.

— ვნახოთ.

— თქვენი გაზეთისთვის არ გამოდგება.

— ?!

ანანურის გზისპირა სასადილოს მივაშურეთ, და იქ წოთლად





დაბრაწულ გახუხულ ხინკლებსა და ცივი, მამაკაცური „კახურის“ შენისლულ, გაოფლილ თუ შეცრემლებულ ბოთლებთან ასეთი რამ მიამბეს.

II.

— თუ არა ვცდები, ეს ამ ათიოდე წლის წინათ მოხდა... იქნებ თხუთმეტისაც, ზუსტად აღარ მახსოვს, მაშინ სტუდენტი ვიყავი. ქუთაისში ვსწავლობდი. ჰოდა, ერთი კითხვით და ორი პასუხით, მაისის პირველი რიცხვები იყო. ქალაქის თავზე მოხარშული კვერცხის გულივით ბდღვრიალებდა მზე. რიონი გაზაფხულის შეგეიანებულ ტალღებს მოაგორებდა და იყო დიდი სიხალისე, როცა შინ ვერ ჩერდები და სულ გარეთ გიწევს გული. სწავლისათვის ვის ეცალა. ქუჩად ვიყავი გავარდნილი. ერთხელაც, ჩვეულებრივად, ლექციების ნაცვლად დილიდანვე ქუჩებს დავუყევი და ნაცნობ ბირჟაზე გავედი. ჩვენი ბიჭები არ ჩანდნენ. ნეტა სად იქნებიან-მეთქი? — დავიწყე ფიქრი. მეც სულელი ვარ, რაღა!... რომ ფიქრობ, რას ფიქრობ, იმისი არ იყოს... რას იჭყლიტავ ისედაც დაჭყლეტილ ტვინს. რა, კანტი ხარ თუ სპინოზა? სად უნდა მომეძებნა, თუ არა ღვინის რომელსამე ძველ სარდაფში. მაშინ ჯერ კიდევ ბევრი იყო ეგეთი რამეები. ახლა უკვე აღარ არის. ის კვარტალები მთლიანად დაანგრიეს და ხელახლა ააშენეს. ბოდიში, მაგრამ ლროა ახალს შეეჩვიოთო... ერთგან ჩავიხედე — არაფერი! სხვები სვამდნენ. „დიონიტეს სარდაფს“ მივადექი, რომელიც მიწაში იყო ჩათხრილი და ქვის საფეხურების გვერდით პატარა გაქონილი სარკმლიდან შეიძლებოდა შიგ ჩაჰკვრეტა. ვხედავ აქ არ გაჭიმულან? აბა, ჩქარა ჩამოდიო! ხომ იცი, ქურდს რა უნდა და ბნელი ღამე! მეც არ გავპრანჭულვარ და თვალის დახამხამებაში შევვრიე ჩვენებს. ღვინის კასრებთან ყვილგან ხალხი მოყუჩებულიყო. დილიდანვე სმა ზოგჯერ კარგია. მერე, საღამოთიც რომ მოგიხდეს, უკვე ფორმაში ხარ შესული და ეშხითაც შეუბერავ. ერთგან ფეხზე მდგომნი უპასუხენებდნენ ჩაის ჭიქებს. აქეთ გრძელი ხის სკამი მოეჩოჩებინათ და ცალ მხარეს ჩვენი ინსტიტუტის საგამოცდო კომისიასავით ჩალაგებულიყვნენ. იქ, სადაც ჩვენებს ხის სამფეხა სკამები ეშოვათ, ღვინით გაბერილი გამავებული კასრი იდგა. კუთხეში, ზედ კასრის თავზე, ნაღდი ლიტრიანი ბოთლები ჩარაზმულიყვნენ. გუშინდელი შემხმარი პური, იმერული ყველის ნაჭერი. პრასა, მარილი და მოხარშული თხის თავი... ჰო-ჰო... რა იყო!... მოხარშული თხის თავი თავისი პატარა რქებითა და მოხარშული გამომეტყველებით. ერთი მოხუცი წვერებაცანცარა კაცი იყო და იმას დაჰქონდა ხოლმე. ეს რა საჭმელია? ნუ გეშინიათ, სუპიცა და რიონის წვერაც ვიცით, სადაც საჭიროა! ასეთ ადგილას რო ჩადიხარ, საჭმლისათვის ჩადიხარ თუ რა? დასაყოლებლად გრძნობა უნდა იქმარო!

ერთი სიტყვით, ასეთნაირად გაეწყოთ. ერთი-ორი ჭიქა სადღეგრძელო რომ ავითვისეთ, ზემოდან ვიღაცამ დაგვიბნელა სარკმელი — ბატონო გიგლა... გიგლა ბატონო! — ავყვირდით.

შმაგასთან (ასე ეძახდნენ მეტსახელად გიგლა ამაშუკელს, ცნობილ მსმელსა და ვაჟკაც კაცს, ალბათ, სიცოცხლით გაშმაგებული ტკბობის გამო) ჭიქის აწევა ვის არ უნდოდა. კაცური კაცი იყო და თან ეშხის ამბების მოყოლაც იცოდა. მე კი არა მგავდა! ისეთნაირად ჩააბუბუჭებდა, რო... ტყუილია!... სუნთქვა გვეკვროდა ხოლმე. თანაც, დიდ პატივსა ვცემდით.

დაბლა რომ ჩამოვიდა, ატყდა ერთი ჭრიამული. აქეთ — იქიდან დაპატიჟეს, მაგრამ ჩვენ ისე ახალგაზრდები ვიყავით, გულწრფელობაში ღონავადაც არ დაეჭვებულა და ამიტომ აღარც თვითონ დაგვწყვიტა გული.

ჩვენი თამადა ავტომატურად გადადგა. შმაგა რომ შემოესწრებოდა სუფრას, ყოველთვის ასე ხდებოდა ხოლმე. ერთბაშად იფეთქა სარდაფმა! გაცოცხლდა და ადუღდა, როგორც რიონის მორევები ვიწროებში. შეიცვალა ბოთლების რიგი. არ შეცვლილა მხოლოდ ღვინის გემო, მარილის სიმლაშე და თხის მოხარშული, სევდიანი მზერა. დავურტყით და დავურტყით! გავხურდით და აგვყვა გიგლა ბატონიც მთელ ამბავში თავისი მართლა დაუოკებელი სიმშაგით.

დავლოცეთ მშობელი მიწა და ვადღეგრძელეთ მამა-პაპა.

დავლოცეთ სიღამაზე და ვადღეგრძელეთ ვაჟკაცობა!

დავლოცეთ ნამუსი და ხარკი მოვუხადეთ სიცოცხლეს, ასეთს ტკბილსა და მტკივნეულს!

ვსვით და ვიმღერეთ! ვსვით და ვიხარეთ! ლამის დაინგრა იქაურობა! სიმღერა, მართალი გითხრათ, საოცარი გამოვიდა, სულ ძველ-რბილში დაგვიარიალდა. ბედნიერები ვიყავით, რადგან დროისა და მანძილის განზომილებებს თავიანთი მნიშვნელობები სადღაც ზევით, რამდენიმე სველი საფეხურით მაღლა დაეტოვებინათ, ჩვენთან კი უფაქიზეს შეგრძნებებად დაწმენდილიყვნენ შმაგას თამადობით.

უეცრად, შმაგამ გვანიშნა, წუთით გავჩუმდეთო. ჭიქა შეივსო, მარცხენა ხელი მუხლზე მოისვა და დაფიქრდა. მივხვდით, რაღაც საინტერესოს მოყოლას აპირებდა და ახალი განცდების მოლოდინში უხმოდ გავქვავდით.

შმაგამ თავისი ცხოვრების ერთი ეპიზოდი გაიხსენა. აი, ბიჭებო, ზუსტად ეს დრო იყო მაშინ და თქვენსავით ამაკე სარდაფში ვსვამდი ძმაბიჭებთან. ამ თბილმა აფერადებულმა მაისმა, აგერ იმ ჩვენმა ალუბლებმა გამახსენა.

სარდაფს შიგნიდან კიდევ ერთი ციცქნა სარკმელი ჰქონდა, რომელიც ქუთაისის წარმტაცი კუთხის სურათს გვიშლიდა თვალწინ. სარკმელი გამოეღოთ და სანამდე თვალი მიგვიწვდებოდა, აყვავილებული ბაღები ქარგავდნენ ქალაქის პეიზაჟს. გაზაფხულის ვნებიანმა სუნთქვამ აგვიტაცა ღვინის სუნით გაჟღენთილ ამ ნასვერად ბნელ მიწურში.

შმაგამ ჩვეული მგზნებარებით გვიამბო, თუ როგორ უყვარდათ მეგობრებს ერთმანეთი. როგორ უხაროდათ სიცოცხლე ჩვენი ასაკის ბიჭებს და როგორ მოჰქონდა სიცოცხლის თითოეულ დღეს მათთვის თითო წვეთი ნაღველი. მიზეზიც ჰქონიათ. აი მაშინ, ჩვენსავით რომ სვამდნენ, თურმე ზემოდან ვიღაცას ჩამოუჭყეტია. ლადო ყოფილა — მათი საყვარელი ძმა და მეგობარი. ღმერთივით პოეტი, გულწრფელი და ვაჟკაცური სტრიქონების ავტორი. საშინელი ავადმყოფობით იყო დაავადებული. სენი პრინციპულად უკურნებელი გამოდგა. ოცდაექვსი წლის თავდამავიწყებელ პოეტს თავდავიწყებამდე ჰყვარებია ღვინი და მეგობარი. მისთვის ჭიქას იმ სარდაფში ყოველთვის ცალკე ინახავდნენ. იქეფებდა და მერე ტეხდა თურმე, იმ გამჭვირვალე ჯადოსნურ საგანს, რითაც წუთით ადრე გაუტეხელ სიტყვას ლოცავდა. ფილტვებში ჰქონდა გახსნილი და გულიდან ამონახეთქ ყოველ სიტყვას თითო წვეთ ალისფერ სისხლსაც ამოაყოლებდა ხოლმე. ბიჭებოო, უთქვამს ლადოს მაშინ, — ვგრძნობ, უკანასკნელად ვისრუტავ ამ გაზაფხულს. ხვალ მთაში მივდივარ, საავადმყოფოში უნდა დავწვე და ვიდრე ჯერ ბოლომდე არ დამფლეთია ფილტვები, მოდით, ყველაფერი კიდევ ერთხელ, ძმურად გავიხსენოთო. მერე, ეს ჩვენი ლამაზი სიცოცხლისა იყოსო, ჭიქა გამოუცლია, წესისამებრ კედლისკენ მიბრუნებულა, უტყორცნია მთელი ძალით და ათას უმცირეს ნაწილაკად დაუმსხვრევია, როგორც თავისი უკანასკნელი, განწირული ლექსის სევდიანი, დალეწილი სტრიქონები.

„სარდაფჩიკ“ ულვაშა გოგიას ჭიქის გატეხას „ბოჭკის“ გატება ერქმია. ომი იყო და ჭიქები აღარ იშოვებოდა. ამის გამო სხვას თუ კინწს წაადგებინებდა, კედელზე ჭიქის მილეწვის უფლება მარტო ლადოს ჰქონია. ულვაშა გოგია პოეზიის დიდი „ბალელშჩიკი“ ყოფილა და გულით ჰყვარებია ლადო, არც მას და არც მის ძმაკაცებს ფულს არასოდეს ახდევინებდა. ერთი სიტყვით, კარგი ვინმე იყო!

ლადოს სიტყვებზე იქ მყოფთ თვალთაგან ცრემლი წასკდომიათ. აცრემლებულ ულვაშა გოგიასაც დაუვლია ხელი ჭიქისათვის და დაულეწია. გრძნობდა — რაღაც ძალზე ახლობელი და საშინლად ძვირფასი თავდებოდა სამუდამოდ. სარდაფში გაჩერება აღარ უნდოდა. ნერვებაშლილს სხვა კლიენტებიც კინწისკვრით მაღლა აურეკია, კარი ჩაურაზია, კლიტე დაუდია და აღარც მიბრუნებულა. მართლა კარგი ვიღაც ყოფილა!.., წუთისოფელს სარდაფში ატარებდა. გათენებისას აღებდა და შუაღამეს გადაცილებული რომ იყო, მაშინ ამოდიოდა ხოლმე სუფთა ჰაერზე. თუმცა, ვისთვის რას ნიშნავს ან რა ღირებულებას წარმოადგენს სუფთა ჰაერი?!... იმ გაქონილ სარკმელში ცნობდა გამვლელ-გამომვლელს, ვინ იყო კლიენტი და ვინ არა. ფეხსაცმელსა და ფეხის მოძრაობაზე ცნობდა მთელ ქალაქში. ეს აი ახლა ჩემთან ჩამოვა, ის — არაო. ნაღდი სარდაფის კაცი იყო. მწე არ იცოდა და ამდაგვარი რამეები. მარტო ღვინო!!!... კარგი, ნატურალური!!!... არავინ იცოდა ამ ღვინის სახელი, მაგრამ ეგემრიელებოდათ და მაგათაც აბა მეტი რაღა უნდოდათ?

აქ ყველაფერი წესრიგში იყო.

აქ ყველანი მხოლოდ პატივსა სცემდნენ ერთმანეთს და ყველაფერიც ნათელს ისხამდა ამ ნასევრად ბნელ, კონკრეტულ მიწურში.

III.

მთაში გაზაფხული ცოტა მოგვიანებით ირთვება სურნელოვანი სამკაულით. როცა მაისის მეორე ნახევარში ძმაბიჭებმა შმაგას მოთავეობით ლადოს ააყითხეს, სწორედ რომ გახურებული მთის მაისობა ყოფილა — ფერადი და ხალისიანი. განწირულ ძმას თავისი ძმებისთვის ზუსტად ისეთივე სიტუაცია დაეხვედრებინა, იქ, ქუთაისში რომ ჰქონდათ უკანასკნელად.

ერთი მეტად პოეტური გზის მოსახვევი. პატარა პავილიონი. პავილიონის სარდაფი. ღვინით სავსე კასრები. ქვის სველი საფეხურები. ისევ ისეთი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი გაქონილი სარკმული და გორაკები... გორაკები... უზომოდ აფეთქებული მთის ლაღი ხეხილის გვიანი, მაისური აყვავილება! ისეთი ნაზი, თბილი და გამაჟრჟოლებელი ყოფილა ყველაფერი, როგორც ახლად გაღვიძებული სიყვარული! როგორც პირველ პაე-

...ბრელბაბთიანი კოხტა გოგო... შელექსილი მორცხვი, ქალწუ... სიწრფელით სუნთქავდა ყველაფე... ბედნიერებისაგან გუ...

...მთაში დაესწრნენ უკანასკნელი გაზაფხუ...

...ჭეშტელან.

...ჭქები, ყველაფერი, რაც იმსხვრევა — სი...

...ებოდა ყანწები. აზარტული გატაცებით აუტა... სინამდვილე. ჭაბუკური მოგონებანი თრთოდ... და იწვიდნენ. და აი ამ მომენტში, თითქოს ქუთაისური ...ელა მართლა მარადიულობაში იღვრებაო. აქაც, ...დააბნელა სარკმელი. მსწრაფლ ავარდნილან ...და ფრთხილად ჩამოუყვანიათ პოეტის კაცური ...ვრ — ქალი, რომლისთვისაც ...ით ნათელი იყო ამ ნახევრად ბნელ სარდაფ... დაჰკარგოდა და სასოწარკვეთილი მისჩერებოდა ...ელში ყანწი გაეშიშვლებინა და თვალებ... შხითლა სუნთქავდა მხოლოდ.

...ბოდა. მერე ხელი მოჰკიდა, მოპირდაპირე კუთხეში ...და დააყენა ისე, რომ გაჭონილი, მაგრამ ერთგული ...შემოვარდნილმა გრილმა ნიავმა სახეზე ქათქათა ...ალუბლების ჯადოსნური სურნელი შემოაფრქვია. ...დაღმდნენ... ზემოთ, ვიღაცის საბარგო ავტომობილს ...და გუშინდელი გაზაფხულის წვიმისაგან დანატოვარი, ...მხით ჯერ ამოუშრალი გუბიდან ერთი წყვილი ...ნაკადული ჩამოუყოლებია სარდაფში.

...უან დაუწევია, ბიჭებში ჩამდგარა, ჯვარცმულივით ...და ღონემიხდილი, დაფლეთილი ფილტვების თავ... შებერვით აუდერებია ეს პანგი:

რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს,
რამ დამავიწყოს ეს ალუბლები!
იცოდე, როცა სხვას შეიყვარებ
ჩემს სიყვარულზე ესაუბრები.

ეტყვი, თუ როგორ ცეკვაობდა ძველად
ჩვენ ტრფიალება წრეცდომილი,
თუ როგორ ცეკვა იყვარებს ცეკვა
და მოგონებად დარჩა წარსული.

ეტყვი: რა შვენდა, რა სიტყვური,
ბედად მთელს რაინდულ ეპოქაში
როგორ ეყვარა, ეფიცებოდა, ეკრძო
და კიდე ცხოვრად როგორ ეკვდა.

როგორ ცდილობდა სიცოცხლის ნანა
და სიყვარული როგორ ვიწოდით...
და ეს ნარნარზე უტკბესი ხანა
რომ ცქერებოდა, რად არ ვიცოდით?

— ამისი ქმარი სარდაფში მოკვდა, —
ასე იტყვიან შენზე ქალები,
და შენც ასეთი ნაზი და კოხტა
სიყვარულს ვერსად დაემალები.

— ამისი ქმარი ღვინოში მოკვდა, —
ასე იტყვიან შენზე ლოთები,
და შენც ასეთი ნაზი და კოხტა
ახალ სიცოცხლეს დაელოდები.

— ამისი ქმარი სიცოცხლემ მოჰკლა,—
ასე იტყვიან შენზე ბიჭები,
გამიხსენებენ როგორც ნიკალას
და თბილ სამარეს დააბიჯებენ.

...რამ დამავიწყოს ეგ შენი სახე,
რამ დამავიწყოს ეს ალუბლები,
იცოდე, როცა სხვას შეიყვარებ
ჩემს სიყვარულზე ესაუბრები.

დაუსრულებია და ერთი მოსმით ბოლომდე დაურტყამს ყანწი. ბიჭებს ლოყებზე ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ. მარტო ლადო არ ტიროდა.

დაულევიათ ბოლომდე, ცრემლიც თან ჩაუყოლებიათ და კიბეზე ავარდნილან. ავარდნილან და კრიჭამეკრულნი ქალაქისაკენ მიმავალ გზას დასდგომიან. რამდენიმე ათეული მეტრის გავლის შემდეგ გაჩერებულან და გამოუბედავთ უკან: საავადმყოფოსკენ ვიწრო ბილიკით მიმავალ თავდახრილ მამაკაცს ორიოდე ნაბიჯის დაშორებით ქალი მისდევდა.

ეს იყო ორი ახალგაზრდის გზა, რომელზეც ერთი ხელმეორედ უკვე ვეღარასოდეს გამოივლიდა.

IV.

მორჩა და გათავდაო, წერტილი დაუსვა თავის ნაამბობს ავტომექანიკოსმა და მეც, თითქოს სევდიანი კინოთველის მაყურებელს, თვალწინ დამიდგა ამწვანებული გორაკები, აფეთქებული ალუბლები, მთის ვიწრო ბილიკის მოყვითლო ზოლი და ზედ მორჩილად მიმავალი პატარა, ნაზი ფინია, გულსაკლავად უკან რომ მისდევდა თავის თავჩაქინდრულ, განწირულ პატრონს.

ეს იყო და ეს.

არ ვიცი, როგორ გადმოგეცით ყველაფერი. ოღონდ ის კი ვიცი, რომ გიამბეთ ის, რაც მიამბეს მე, ხოლო იმ სარდაფული ალუბლებიდან და ორიგინალში მოქმედი გმირებიდან შემრჩა მხოლოდ სევდიანი სიმღერა, გიტარებზე რომ აკვნესებენ ხოლმე შეყვარებულები. და კიდევ ერთი ადამიანი, რომელსაც, ვინ იცის, რა მთრთოლვარე ფიქრები არ აუტყდება ამ გახსენების ჟამს.

და მე მაინც მინდოდა მომეთხრო თქვენთვის იმიტომ, რომ ამ ამბავში იყო რაღაცნაირი იდუმალი ძალა და ამ ძალამ ისევე იმოქმედა ჩემზე, როგორც იმ ჩემს ქუთაისელ მეგობარზე.

იცით, რას გეტყვით: ზოგჯერ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, გაქანებული მატარებლიდან მართლა აქეთ-იქიდან ჩავლილი სადგურებივით რომ ჩამოვიტოვებთ ხოლმე, თითოეულ ჩვენგანში, დარწმუნებული ვარ, სადღაც მაინც ტოვებს სწრაფად დატრიალებული კინოკადრების შთაბეჭდილებას.

ნუთუ არ შეიძლება ყველაფერი ისე შევიგრძნოთ, რომ გული არაფერზე დაგვწყდეს?

თუმცა, რატომ ვართ ასე გრძნობამორეულნი? იქნებ ყველაფერი სულ სხვაგვარად არის მოწყობილი, ვიდრე ჩვენ გვგონია?

ვასილ მჟედლიშვილი

ქ ა რ თ უ ლ ი ეთნოგრაფიის მეზვრე

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ბიოგრაფია ისევე ნათელი და წმინდაა, როგორც მისი ცხოვრება. ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელმა რთული გზა განვლო, რომ დღეს ქართული ეთნოგრაფიული სკოლა საქვეყნოდ ყოფილიყო ცნობილი.

გიორგი ჩიტაია 1890 წელს დაიბადა ქალაქ ფოთში, ხელმოკლე ოჯახის სწავლასმოწყურებული შვილი ლუკმაპურს საკუთარი შრომით შოულობდა. ნიჭიერმა ყმაწვილმა მიზანს მიაღწია — პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სომხურ-ქართული სიტყვიერების განხრაზე დაიწყო სწავლა დიდი მეცნიერების—აკადემიკოს ნიკო მარის, პროფესორ ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა ხელმძღვანელობით.

ნიკო მართან და ივანე ჯავახიშვილთან სიახლოვემ და ურთიერთობამ განსაზღვრეს გიორგი ჩიტაიას მეცნიერული მისწრაფება და სამოღვაწეო ასპარეზი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ფოთში ბრუნდება და ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. აქ მისი მოწაფეები იყვნენ ამჟამად გამოჩენილი მეცნიერები, აკადემიკოსები შალვა ამირანაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, ეგნატე ფოფხაძე, პროფესორები ივანიბი ციხისძე, ვლადიმერ ჩამბარაშვილი და სხვები.

1922 წელს გიორგი ჩიტაია თბილისში ჩამოდის და იწყებს ქართველოს რეკონსტრუქციაში საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ მეზეობაში იწყებს მეზვრეობას.

ეთნოგრაფიული მასალებისადმი, ქართული ეთნოგრაფიის ღრმა ისტორიული მემკვიდრეობისადმი დიდ ინტერესს გიორგი ჩიტაია ჯერ კიდევ სტუდენტობისას იჩენდა. ეთნოგრაფიული მონაცემების გარეშე საქართველოს ისტორიის დაწერა შეუძლებელიაო, აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე. მაგრამ ქართული ეთნოგრაფიის ტრადიციული მემკვიდრეობა ახლის თქმას მოითხოვდა და სწორედ აქ თქვა თავისი სიტყვა გიორგი ჩიტაიამ, რომელსაც მტკიცედ სწამდა: ხალხის ყოფაში წარსული კულტურის ისტორიის მრავალი მონაპოვარია გაბნეული, რომელთა დახმარებით ისტორიის მრავალი საკითხის გარკვევა შეიძლებაო.

გიორგი ჩიტაიამ ჩამოაყალიბა



ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ახალი მეთოდი, რომელიც ეთნოგრაფიული მოვლენების კომპლექსურად და ინტენსიურად შესწავლას გულისხმობს. სწორედ ამ მეთოდის შექმნამ და დამკვიდრებამ პროფესორს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს გიორგი ჩიტაია ადგენს და ხსნის არა მარტო საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილის გათვალისწინებით, არამედ კავკასიის, წინა აზიისა და სხვა ხალხების ისტორიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის მონაცემების ჯეშმარიტი ცოდნის მოშველიებით.

გიორგი ჩიტაიამ დაადგინა, რომ საქართველოს მიწათმოქმედებაში თავს იჩენს საუკუნეების ტრადიციები, მაუთითა მშრომელი გლეხობის ემპირიული ცოდნის მაღალ დონეზე, მიწათმოქმედების ხალხური კულტურის განვითარების მაღალ საფეხურზე, მის სიძველეზე. დაასაბუთა საქართველოსა და კავკასიის ხალხთა თვითმყოფი კულტურის სიძველე და ადგილმდებარეობა.

გიორგი ჩიტაია სამუზეუმო საქმის სახელმოხვეჭილი სპეციალისტია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო დიდი ეთნოგრაფიული გამოფენები საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

ეთნოგრაფიის სწავლებას თბილისის უნივერსიტეტში გიორგი ჩიტაიამ ჩაუყარა საფუძველი და თვითონვე დაუღალავად ემსახურება მის შემდგომ განვითარებას. 40 წელიწადზე მეტია კითხულობს საქართველოს, კავკასიის, საბჭოთა კავშირის ეთნოგრაფიის სპეციალურ კურსებს, მისი ნაშრომები იბეჭდება გერმანულ, ფრანგულ, ჩეხურ, უნგრულ ენებზე.

აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია აქტიურად მონაწილეობდა ბერლინის, პარიზის, მოსკოვის, ტოკიოს ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა მსოფლიო კონგრესების მუშაობაში. იგი ამჟამად ჩვეული ენერგიით ემზადება ახალი კონგრესისათვის, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა გაიმართოს. 1964 წელს იგი უნგრეთის უნივერსიტეტში კითხულობდა კავკასიის ეთნოგრაფიის კურსს.

ეთნოგრაფიის აგრარულ საკითხთა და ეთნოგრაფიული ატლასის შემდგენს, ხალხური მევენახეობა-მეღვინეობის შემსწავლელი საერთაშორისო კომისიების წევრს, კავკასიის ეთნოგრაფიული ატლასის შედგენის ხელმძღვანელ მეცნიერს ფეხით აქვს შემოვლილი საქართველოს მთა და ბარი. იგი ყველგან საყვარელი და საპატიო სტუმარია.

გიორგი ჩიტაიას არასოდეს გადაუხვევია ერთხელ არჩეული გზიდან, რომელიც თავისი ცხოვრების ხანგრძლივ მეგობართან, აწ გარდაცვლილ პროფესორ ვერა ბარდაველიძესთან ერთად გაიარა. დღეს მრავალი მისი მოწაფე ქართული ეთნოგრაფიის დიდი მეზვრის მიერ შექმნილი სკოლის მიღწევებს მთელ ქვეყანაში ავითარებს.

ამჟამად 80 წლის მხცოვანი მეცნიერი ახალგაზრდული შეშფოთებით ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორს და უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრას.

გიორგი ჩიტაია არის უბადლო მაგალითი თავისი მოწაფეებისათვის იმისა, რომ ჭეშმარიტების მიღწევის ერთადერთი საშუალება თავდაუზოგავი შრომა, საქმის სიყვარული, კეთილსინდისიერება და პირდაპირობაა.

დევი კაჭარავა,
იგორ კვესელავა,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომლები.





თვალს გაგახელ
— ზედ წამწამზე მიგისარ...

თენგიზ უთმელიძის ფოტო

ჰა ბშრთი— ჰა მოედანი

ორიოდე კვირის წინათ სახელგანთქმულმა მეკარე ლევ იაშინმა „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: საქართველოში ფეხბურთი ისევე უყვართ (და შეიძლება უფრო მეტადაც), როგორც ბრაზილიაშიო. დიახ, ფეხბურთი დიდი ხანია № 1 სპორტად არის აღიარებული ჩვენში, და აბა, რა გასაკვირია, თუ ახლა, როდესაც საკავშირო პირველობის დაწყებამდე ასე ცოტა დრო დარჩა (ჩემპიონატი 4 აპრილს იწყება), ყველა გულშემატკივარს მხოლოდ ერთი კითხვა აინტერესებს: როგორ ხვდება თბილისის „დინამო“ ახალ სეზონს? ჩვენც ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზას ვეწვიეთ.

ბნიანი, უქარო დღეა. სპორტულ კოსტიუმებში გამოწყობილი სპორტსმენები სარბენ ბილიკზე მწყობრად მოაბიჯებენ, გაისმის სასტვენის ხმა და სიარულს სირბილი ცვლის, კვლავ სასტვენის ხმა — ფეხბურთელები მოედანზე შემოდიან და იწყება ვარჯიში... უბურთოდ. დინამოელთა უფროს მწვრთნელს გავრილ კაჩალინ როგორც კი უთხრეს, რედაქციიდან სტუმრები არიანო, ჩვენკენ გამოემართა და მოიბოდიშა, ახლა სასაუბროდ არა მცალია, ორი საათის შემდეგ გავთავისუფლდებიო. გულახდილად რომ ვთქვათ, იმან, რომ ორი საათის განმავლობაში შეგვეძლო თვალი გვედევნებინა თბილისის „დინამოს“ წვრთნისათვის, გაგვახარა კიდეც...

სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, კახი ასათიანი, ლევან ნოდია, გოჩა გავაშელი... ნაცნობ სახეებს ორიოდე ნაბიჯი გვაშორებს, ვხედავ, ვგრძნობ, რა მონდომებით ვარჯიშობს თითოეული, როგორ ფხიზლად სდარაჯობს მათ ყოველ მოძრაობას გავრილ კაჩალინის, გივი ჩოხელისა და სერგო კოტრიკაძის თვალი. ბურთის არაზუსტი გადაცემა, პოზიციის არაზუსტი შერჩევა და იქვე გაისმის რეპლიკა — კახა, წინ ვადი, გოჩა, პარტნიორს შეხედე, მურთაზ, დაზღვევაზე...

მთავრდება წვრთნა, დინამოელთა უფროსი მწვრთნელი თავის ოთახში გვიწვევს. ჟურნალისტთა გულწრფელ მეგობართან (ასე უწოდებს თავისთავს გავრილ კაჩალინი) საუბარი ადვილად აეწყო.

● პატივცემულო გავრილ, თქვენ იყავით იმ გუნდის მწვრთნელი, რომელმაც ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული. როგორ შერჩა შეხსიერებას 1964 წლის ტრიუმფი?

ჩემი ცხოვრების მანძილზე მრავლად განმიცდია სიხარულის წუთები (რა თქმა უნდა, გულიც ბევრჯერ მტკენია), მაგრამ ის, რაც 1964 წელს შემოდგომაზე განვიცადე, ჩემთვის ძალზე ძვირფასიი. რა დამავიწყებს, აბა, მაშხალებით განათებულ თბილისს, ქუჩებში გამოსული ხალხის ნაკადს, იმ შეხვედრებს, ტაშკენტიდან დაბრუნებულთ რომ გვიწყობდნენ საქართველოს სოფლებსა თუ ქალაქებში...

● ხომ არ ინებებდით ამ სიხარულის ხელმეორედ განცდას?

გინდათ მათქმევინოთ, რომ თბილისას „დინამო“ 1971 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდება? წინასწარ ასეთი პირობის მოცემა ძნელია. რა თქმა უნდა, მე, როგორც მწვრთნელი, ყველაფერს გავაკეთებ გამარჯვებისათვის, მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც ფეხბურთელებს ეკუთვნით, აი თუ ისინიც მოინდომებენ... მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

● და მაინც, როგორ ფიქრობთ, მოინდომებენ?

მოინდომებენ, აუცილებლად მოინდომებენ, უფრო სწორად, ისინი უკვე არიან მონდომებულნი. მთელი გულით ვარჯიშობენ. ჯერჯერობით არ გვქონია დისციპლინის დარღვევის არც ერთი შემთხვევა, ეს კი თბილისის „დინამოსათვის“ უმნიშვნელო ფაქტი როდია.

● თუ ხედავთ რაიმე განსხვავებას 1964 წლის „დინამოსა“ და 1971 წლის „დინამოს“ შორის?

1964 წელს „დინამო“ — ეს იყო ვარსკვლავებისაგან შემდგარი კოლექტივი. მესხი, მეტრეველი, იამანიძე, ბარქაია, კოტრიკაძე... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მართლაც რომ დიდებული გუნდი იყო. მართალია „დინამო-71“ ვარსკვლავების ერთგვარ ნაკლებობას განიცდის, მაგრამ მონდომება, ერთსულოვნება, დისციპლინა დღევანდელ „დინამოში“ ჭარბობს, რაც ჩემში, როგორც მწვრთნელში, დიდ ოპტიმიზმს ბადებს.

● ჩარიცხეთ თუ არა ახალი ფეხბურთელები გუნდში?


გაზეთ „სამშოგლოს“ მკითხველებს!

წლევანდელი სპორტული სეზონი ძალზე დაძაბული იქნება — ქვეყნის ჩემპიონატი, თასისათვის გამართული ორთაბრძოლები და ბოლოს მონაწილეობა ბაზრობათა თასის ტურნირში.

თითოეული ჩვენთაგანი გულმოდგინედ ემზადება მწვანე მინდორზე გამოსასვლელად. ვეცდებით, ჩვენი თამაშით სიხარული მოვუტანოთ ყველა გულშემატკივარს.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები





გავრილ კაჩალინი: „ჩვენც გავიმარჯვებთ“



მხოლოდ სამი კაცი: ზორბეგ ებრალიძე, დათო ყიფიანი და როლანდ ბერიძე.

● გუნდის რომელი რგოლი გამოიყურება ყველაზე საიმედოდ?

დაცვა და ნახევარდაცვა. აქ ერთ ადგილზე რამდენიმე ტოლფასოვანმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი. ძირითად შემადგენლობაში კი ის გამოვა, ვინც უკეთ ითამაშებს. რაც შეეხება მეკარეს, აქ ძირითადად კვლავ რამაზ ურუშაძის იმედითა ვართ. ყველაზე მეტად თავდასხმაში გვიჭირს — ძმები ნოდიები, გოჩა გავაშელი, სლავა მეტრეველი... აი ის ოთხეული, რომელთა მხრებზე გადავა ბრძოლების მთელი სიმძაფრე.

● გასულ წლებთან შედარებით ქართველ ფეხბურთელთა რიცხვმა იკლო საბჭოთა კავშირის ნაკრებში, რამ გამოიწვია ეს?

პირველ რიგში იმაზე, რომ ნაკრებში მოვიდა ახალი მწვრთნელი, რომელიც გუნდს საკუთარი შეხედულებების მიხედვით ადგენს. მან ჯერჯერობით მხოლოდ ორი ფეხბურთელი — გივი ნოდია და რევაზ ძოძუაშვილი მიიწვია ჩვენგან, „ჯერჯერობით“-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ დაიწყება სეზონი და ჩემი ღრმა რწმენით, საბჭოთა ნაკრების რიგებში თბილისიდან სხვებსაც მიიწვევენ.

● თბილისის დინამოელებს ამ ბოლო ხანს ძალზე ხშირად უწყობენ შეხვედრას ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლები. რას მატებს ასეთი შეხვედრები სპორტის მოყვარულთ ან ფეხბურთელებს?

პირველ რიგში, ასეთი შეხვედრების სიკეთე ის გახლავთ, რომ გულშემატკივრებმა ყველაფერი იციან თავიანთი სათაყვანო გუნდის შესახებ. ჩვენ მათ ვუყვებით გუნდის გეგმებზე, ფეხბურთელთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მათგან კი ვისმენთ კეთილ რჩევას, მეგობრულ შენიშვნებს...

● და მაინც, გულშემატკივრებს ყველა შეხვედრაზე მეტად გამარჯვება უხარიათ გულს...

ვიცით, და ჩვენც ამიტომ გავიმარჯვებთ!...

● შეჯიბრება ბაზრობათა თასზე თავისი მნიშვნელობით თუ შემადგენლობის სიძლიერით კომენტარებს არ საჭიროებს. თბილისის „დინამოს“ ასეთი რანგის ტურნირში მონაწილეობა სიხარულთან ერთად ერთგვარ ეჭვსაც იწვევს, ჩვენ ხომ მსგავს ასპარეზობებში გამოსვლის ტრადიცია არ გაგვაჩნია?

ტრადიცია, რა თქმა უნდა, ბევრს ნიშნავს, მაგრამ იგი წარმატებისათვის გადამწყვეტი ფაქტორი როდია. თბილისის „დინამო“ თავისი შესაძლებლობით ევროპის საკლუბო გუნდებს არაფრით ჩამორჩება, ჩვენი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე, მეტოქის მინდვრის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტაა. თუ ეს ფსიქოლოგიური ზღუდე დავძლიეთ, ყველაფერი რიგზე იქნება.

● ხომ არ ფიქრობთ, გუნდში ექიმ-ფსიქოლოგის მიწვევას?

არამც და არამც, ფსიქოლოგის მოვალეობა გუნდში, ჩემი აზრით, მწვრთნელს ევალება.

● პატივცემულო გავრილ, საბჭოთა კავშირის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ თქვენ თბილისის „დინამოს“ გარდა, რამდენიმე საკლუბო გუნდმა მიგიწვიათ უფროსი მწვრთნელის პოსტზე, რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?

ქართული ფეხბურთის უზომო სიყვარულმა, ქართველი კაცის მომხიბლავმა ბუნებამ, ამ მზიური რესპუბლიკის თაყვანისცემამ, ათეული წლების მანძილზე რომ ვატარებ გულით...

საუბარი ჩაიწერა რევაზ მაჭავარიანმა

ჩვენი ინტერვიუ

ჩვენი ინტერვიუ







სურათებზე: (მარცხნიდან) — აწმყო, წარსული და მომავალი — ასე უწოდა ამ სურათს ჩვენმა ფოტორეპორტიორმა ედუარდ გიგილაშვილმა და მართლაც მასზე ხომ სამი მეკარეა აღბეჭდილი: ახალბედა როლანდ ბერიძე, „დინამოს“ დღევანდელი კარის დარაჯი რამაზ ურუშაძე და წარსულში სახელგანთქმული მეკარე, დინამოელთა ერთ-ერთი მწვრთნელი სერგო კოტრიკაძე; როლანდ ბერიძე ნახტომის დროს; ბურთი და კახი ასათიანი.



უკანასკნელი ორი-სამი კვირის განმავლობაში ქართველმა სპორტსმენებმა მრავალ საინტერესო ასპარეზობაში მიიღეს მონაწილეობა. გთავაზობთ მოკლე ცნობებს მათი წარმატებების შესახებ.

თბილისის ტრადიციული

თბილისის სპორტის სასახლეში გამართულმა საერთაშორისო ტურნირმა ჭიდაობა, ძიუდოში, რომელშიც საქართველოს უძლიერეს ფალავანებთან ერთად მონაწილეობდნენ სტუმრები ავსტრიიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, უნგრეთიდან და პოლონეთიდან, დიდი ინტერესი გამოიწვია.

ქართველმა მოჭიდავეებმა გაახარეს თანამემამულენი. 63 კილოგრამამდე წონაში როგორც მოსალოდნელი იყო გაიმარჯვა ევროპის 1968 წლის ჩემპიონმა ფირუზ მარტყოფლიშვილმა, მეორე იყო აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი შეხვედრი ფიცხელაური.

70 კილოგრამამდე წონაში პირველი იყო გერმანელი სპორტსმენი იოაჰიმ ბეხი, ბრინჯაოს მედალი კი დაისაკუთრა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ოთარ ნათელაშვილმა. 80 კილოგრამამდე წონაში ფინალში ერთმანეთს ორი ქართველი სპორტსმენი შეხვდა. გურამ გოგოლაურისა და ელგუჯა ნინიაშვილის შერკინება პირველის გამარჯვებით დამთავრდა.

93 კილოგრამამდე წონაში საუკეთესო იყო მოსკოველი ვლადი სოლიდუხინი.

93 კილოგრამიდან ზევით კი კომინიოველმა ვასილ უსიკმა იმარჯვა. ამ წონაში მესამე იყო გორელი როინ ნიშნიანიძე.

მისი თანამგზავრი გამარჯვებაა

მოსკოვში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. შეკიბრებაზე ტოლი არ ჰყავდა საბჭოთა კავშირის შრავალგზის ჩემპიონს თბილისელ ალექსანდრე მეტრეველს, ქართველმა სპორტსმენმა ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო როგორც ერთეულთა, ასევე წყვილთა და შერეულ წყვილთა ასპარეზობაში. ამ მნიშვნელოვან გამარჯვებამდე ალექსანდრე მეტრეველმა ავსტრალიაში მოპოვებული წარმატებებით გაგვახარა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა ხუთი ტურნირიდან ოთხი (!) მოიგო. ავსტრალიის კორტებზე ასეთი დიდი წარმატებისათვის არცერთ საბჭოთა სპორტსმენს არ მიუღწევია.

სოფიიდან ოქროს მედლით

ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა სოფიიდან თბილისში მერაბ ოყროშიძე. მძლეოსანთა ტურნირში, რომელიც ევროპის უძლიერესი სტუდენტი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, ბირთვის მკვრელთა შორის იგი ჩემპიონი გახდა.

რუსუდანი მეორე იყო

ფილადელფიის უნივერსიტეტის დარბაზში 4 ათასი მაყურებელი ესწრებოდა საბჭოთა და ამერიკელ ტანმოვარჯიშეთა პაექრობას. ქალთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა მსოფლიოს ჩემპიონმა ლუდმილა ტურიშჩევამ, მეორე იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, ბათუმელი მოსწავლე რუსუდან სიხარულიძე. როგორც ამერიკის პრესა აღნიშნავს, ახალგაზრდა ტანმოვარჯიშემ მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ჩემპიონი — მეექვსე კლასის მოსწავლეა

ბაკურიანში გაიმართა საქართველოს პირადი ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში.

სპორტის ოსტატის პროგრამით მოსასპარეზე ქალებში ყველას აჯობა საქართველოს გასული წლის ჩემპიონმა, თბილისის 126-ე საშუალო სკოლის მეექვსე კლასელმა ქეთევან გუჯაბიძემ.

გაიმარჯვა მსოფლიოს რეკორდსმენმა

სასიხარულო ცნობა მოვიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. აქ გამართულ მძლეოსანთა ტურნირში წარმატებით გამოვიდა მსოფლიოს რეკორდსმენი სამმაგ ხტომაში ვიქტორ სანაევი. სოხუმელი სპორტსმენი სამჯერ დადგა მეტოქეთა პირისპირ და სამივეჯერ გამარჯვება მას დარჩა. უკანასკნელ შეხვედრაში, რომელიც ნიუ-იორკში მედისონ სკვერ-გარდენის დარბაზში გაიმართა, ვიქტორი 16 მეტრსა და 47 სანტიმეტრზე გადახტა.

ყველა გამარჯვებული თბილისელია

თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს მიმდინარეობდა დედაქალაქის ღია ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. თბილისს სხვადასხვა რესპუბლიკიდან და ქალაქიდან 82 მოჭიდავე ეწვია. ყველას უნდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინ კიდევ ერთხელ შეამოწმოს საკუთარი შესაძლებლობანი.

თბილისელებმა ვერაფერი მასპინძლობა გაუწიეს სტუმრებს—ათსავე წონითს კატეგორიაში პირველი ადგილი მათ დაისაკუთრეს. აი გამარჯვებულთა გვარებიც: **გოგოლაშვილი, ჯაოშვილი, მეგრელიშვილი, ტატიშვილი, ლეკვეიშვილი, ჭელიძე, ტყემალაძე, ღუღუნიშვილი, ჭურკაიძე, მორჩილაძე.**

მარლანიას პრიზზე

თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარის, გამოჩენილი ფეხბურთელის ვლადიმერ მარღანიას სახელობის თასის გათამაშება ტრადიციად იქცა აფხაზეთში. წლევანდელ შეჯიბრში, რომელიც მეტად საინტერესოდ მოეწყო, იმარჯვა ოჩამჩირის „სპარტაკმა“. ფინალში ოჩამჩირელმა ფეხბურთელებმა სოხუმის დინამოელები დაამარცხეს.

„ლოკომოტივის“ ჩემპიონი

ორ კვირას გაგრძელდა ლენინგრადში „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალიშვილთა პირველობა. საუცხოოდ იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილმა თამარ კაჭარავამ. მან ათი შეხვედრიდან შვიდი მოიგო, სამი ფრედ დაამთავრა და პირველი ადგილი დაისაკუთრა.

ამ წარმატებისათვის თბილისელი მოსწავლე საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალიშვილთა ნაკრებში შეიყვანეს.

ყოველი მხრიდან

ქართველი ავტორი გერმანულ ენაზე

ღღითიდღე იზრდება და ფართოვდება მსოფლიოს ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობა, ინტერესი მეგობარ ხალხთა ისტორიისა თუ კულტურისადმი. ამის ერთ-ერთი მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიისა და არქიტექტორთა კავშირის ორგანოს „დოიჩე არქიტექტურის“ რედაქციამ სთხოვა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, არქიტექტორ სიმონ კინწურაშვილს დაეწერა მათი ჟურნალისათვის სტატია ქართველი არქიტექტურის შესახებ. რა თქმა უნდა, ბატონმა სიმონმა შეუსრულა ეს თხოვნა, და აი ჟურნალ „დოიჩე არქიტექტურის“ მე-10 ნომერში გამოქვეყნდა კინწურაშვილის სტატია სათაურით—„ქართული არქიტექტურა“. აქვეა დაბეჭდილი ძველი და საბჭოთა ქართული ხუროთმოძღვრების ამსახველი 30 ილუსტრაცია.

სტატიაში ფართოდ არის ნაჩვენები როგორც წინაფეოდალური ხანის, ისე ფეოდალური ხანის არქიტექტურის ყველა ეტაპისათვის დამახასიათებელი სტილისტური თავისებურება. ასევე ვრცლად არის მოცემული ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების გზები, მისი მიღწევები. აქაც ტექსტი კარგად არის დასურათხატებული თბილისის ხედებით. უკანასკნელ წლებში აგებული ობიექტებით.

აღსანიშნავია, რომ ამ სტატიის მომზადებასა და დაბეჭდვაში ჟურნალს დიდი დახმარება გაუწია ჩვენმა თანამემამულემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი წულუკიძემ, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს ბერლინში.



ლომთან — კირისკირ

ამას წინათ მეშახტეთა ქალაქ ტყვარჩელს ეწვია როსტოვის ზოოპარკის ფილიალი. სამხეცეს, რომელიც საკოლმეურნეო ბაზრის გვერდით დაბინავდა, მრავალი მნახველი ჰყავდა. განსაკუთრებულ ცნობისმოყვარეობას იჩენდნენ ბავშვები. მხეცებიც თავიანთი მხრით მშვიდად ღებულობდნენ „სტუმრებს“. თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა.

მაგრამ აი საკვირველი რამ მოხდა. საღამოს 8 საათზე, ძუ ლომი „ტყვეობიდან“ გაიპარა. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ მიაგნეს მის კვალს. ლომს შესაფერისი თავშესაფარი მოეძებნა და მსხვერპლს უთვალთვალებდა. სამხეცის მოსამსახურე პერსონალის ცდა—დაებრუნებინათ იგი გალიაში, უშედეგო გამოდგა. ლომი „თავისიანებსაც“ არ იკარებდა ახლოს. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო საფრთხე. ბოლოს გადაწყდა მოეკლათ, მილიციის მუშაკებმა ავტომატის ჯერი დაუშვეს, მაგრამ სიბნელეში ლომს ვერაფერი დაუკლეს (ინციდენტი ავტოპარკში მიმდინარეობდა). სროლამ კიდევ უფრო გააცოფა მხეცი, ერთ ადგილას არ ჩერდებოდა, მოხერხებულ ადგილს ეძებდა ადამიანზე თავდასხმისათვის. ავტობუსიდან (მდევრები ავტობუსიდან უთვალთვალებდნენ ლომს.) გამოვიდა მილიციის ლეიტენანტი კუპრავა და სატვირთო მანქანის ძარაზე ავიდა იარაღმომარჯვებული. წუთიც არ იყო გასული, რომ მისკენ ლომი გადახტა. მამაცი მდევარი არ დაიბნა და ლომს სახაში პისტოლეტი დაახალა. ოთხჯერ ზედიზედ გასროლამ ნადირთა მეფეს ბოლო მოუღო.

გრიგოლ აბაშიძე — რუსულ ენაზე

მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურამ“ ისტორიული რომანის ბიბლიოთეკის სერიით ერთ წიგნად გამოაქვეყნა **გრიგოლ აბაშიძის** ცნობილი ისტორიული რომანები **„ლაშარელა“** და **„დიდი ღამე“**. წიგნს ერთვის ცნობილი საბჭოთა ლიტერატორის ვიქტორ შკლოვსკის შესავალი წერილი და მწერლის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. მასში ნათქვამია:

„მწერალმა გაბედულად აიღო ფართო თემა, სულგრძელად აგვიწერა წინაპარნი, მათი შეცდომები და საგმირო საქმენი, მათი მტრების შეცდომები და ამით მოუწოდა ხალხებს მშვიდობისაკენ, ერთმანეთის გაგებისაკენ“.

ვერიკო ანჯაფარიძე — გოიას დედა

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ვერიკო ანჯაფარიძეს მრავალჯერ განუხორციელებია სცენასა თუ ეკრანზე დედის სახე და ყოველთვის მის დედას მაყურებელთა აღტაცება და სიყვარული დაუმსახურებია. ამჟამად ქალბატონი ვერიკო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინემატოგრაფისტებმა მიიწვიეს, რომლებიც იღებენ მხატვრულ ფილმს დიდი ესპანელი მხატვრის გოიას ცხოვრებაზე. დამდგმელებმა გოიას დედის როლი ვერიკო ანჯაფარიძეს შესთავაზეს.

ფილმს წლეულს ვნახავთ.

ჩიტაღდნები ანთია

მუხრანის ხიდთან ერთი დუქანი იდგა. დუქანში დღენიადაგ დუდუკი კვნესოდა. ყარაჩოლელები გზნებით უმღეროდნენ ღვინოს, სიყვარულს... დუდა ძველი თბილისის სიცოცხლე კინტოებით, სირაჯხანებით, ქუჩაბანდებით...

და სწორედ იქ, ძველად რომ დუდუკი კვნესოდა, დღეს კი ბარათაშვილის სახელობის დიდებული ხიდი რომ არის გადაჭიმული, თბილისელმა ახალგაზრდებმა თავიანთი კლუბის დაბადება იდღესასწაულეს.

5 წელიწადი გავიდა მას შემდეგ. კლუბი ახალგაზრდების თავშეყრის ერთერთ საუკეთესო, კერად იქცა. ვინ მოთელილა, რამდენი საინტერესო საღამო, შეხვედრა, დისპუტი, გამოფენა, კონცერტი გამართულა აქ. მოაქვთ გოგონებსა და ჭაბუკებს პირველი ლექსი და პირველი სიმღერა, პირველი ნახატი. აქ უსინჯავენ ჭაშნიკს პირველ ფილმსა და წიგნს, შერე კი დიდი გზისაკენ ულოცავენ გზას. კლუბის ხშირი სტუმრები არიან უფროსებიც — ცნობილი მეცნიერები, მხატვრები, რეჟისორები, მსახიობები, არქიტექტორები, გულისყურით რომ ადევნებენ თვალს ჩვენი ახალგაზრდების გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს, ურჩევენ, ეხმარებიან, მხარში უდგანან.

კლუბში შვიდი სექცია მუშაობს — პოეზიის, მუსიკის, თეატრის, კინომოყვარულთა, საინტერესო შეხვედრების, პრესისა და ქართული ხალხური სიმღერისა.

ამჟამად კლუბთან არსებული თეატრი დასადგმელად ამზადებს ვლადიმერ იაკოვსკის „ბაღლინჯოს“ და ლაშა ბუკაშვილის „იასამანს“.

ქართული ხალხური სიმღერის სექციის წევრები დიდი ხალისით სწავლობენ ძველ სიმღერებსა და საგალობლებს. გაზრახულია მოეწყოს ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომელიც ბევრ მივიწყებულ ჰანგს, ჩვენი ფოლკლორის შესანიშნავ ნიმუშს დღის სინათლეზე გამოიტანს.

კინომოყვარულები იღებენ დოკუმენტურ ფილმს, რომელშიაც კლუბის მუშაობის ხუთწლიანი გზა აისახება. პოეზიის სექცია გაზაფხულზე საღამოს გამართავს მთაწმინდაზე. საღამოს მონაწილენი მოწმენი გახდებიან „პოეტის დაბადებისა“ — მუზის წმინდათა წმინდა სავანეში იმ დღეს ჭაშნიკს გაუსინჯავენ დამწყები პოეტების ლექსებს. ბევრი საქმე აქვთ მხიარულთა და საზრიანთა კლუბის წევრებსაც.

საინტერესო შეხვედრების სექციამ გადაწყვიტა სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდების დაახლოების მიზნით მოაწყოს საღამოები დევიზით — „ვიცნობდეთ ერთმანეთს“. გაიმართება კონკურსი საუკეთესოდ მოწყობილ დასვენების საღამოზე. დაწესდა „ახალგაზრდა მუშის დღე“.

კლუბში ხალისიანი ცხოვრება ჩქეფს. პრეზიდენტის, ახალგაზრდა ინჟინრის ჯუმბერ მარღანიას კაბინეტში მუდამ ხალხმრავლობაა. მსჯელობენ, ფიქრობენ, არჩევენ ხვალინდელი დღის პროგრამას, რომ ზეიმობდეს ლამაზი, ჯანსაღი აზრი, იბადებოდეს კარგი ლექსი და სიმღერა, გაბედული სიტყვა და ნათელი მიზანი.

ჩარიტა მამისეიშვილი

თეატრის ცხოვრება

გრიბოედოვის სახელობის თეატრს ძალზე დიდი და საპატიო მოვალეობა აკისრია. მან მაყურებელს არა მარტო რუსული და დასავლეთის დრამატურგია უნდა გააცნოს, არამედ ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებიც. ამიტომ ამ თეატრში ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან რეპერტუარის საკითხს.

წლევანდელ სეზონში თეატრმა მრავალი ახალი დადგმა უჩვენა მაყურებელს. ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდ საიუბილეო თარიღს უძღვნა ვალერიან კანდელაკის პიესა — „დაე, იყოს სინათლე“. იგი ასახავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და ახალი ცხოვრების მშენებლობის დაწყებას. საიუბილეო თარიღს ეძღვნება აგრეთვე ნოდარ დუმბაძის პიესა „ნუ გვშინია, დედა“. რეჟისორმა კონსტანტინე სურმავამ მხატვარ ევგენია დონცოვასთან ერთად დადგა ალექსი არბუზოვის პიესა „ძველი არბატის ზღაპრები“. რეპერტუარშია აგრეთვე დელმარის „დაუთმე ადგილი ხვალინდელ დღეს“, ალექსანდრე და პეტრე ტურების „ერთადერთი მოწმე“ და ვადიმ კოროსტილოვის „კომანდორის ნაბიჯები“. ეს უკანასკნელი ეძღვნება გენიალური რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის სიცოცხლის უკანასკნელ წლებს.

თეატრი დიდ ყურადღებას უთმობს კლასიკოს მწერალთა შემოქმედებას. გაზრახულია დაიდგას ანტონ ჩეხოვის პიესა „ივანოვი“ და ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, თანამედროვე თემას ეძღვნება ჟუხოვიცკის „მოვალენი“ და გამოჩენილი ინგლისელი მწერლის აგათა კრისტის „ბრალდების მოწმე“.

ძველი რეპერტუარიდან წლეულს თეატრმა დაიტოვა ის დადგმები, რომლებიც განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდნენ შარშან. ესენია გიორგი მდივნის „შენი ძია მიშა“, ელმარ რანეტის „კრიმინალური ტანგო“, ლეონიდე ზორინის „ვარშავის მელოდია“, მიხეილ ლერმონტოვის „მასკარადი“ და სხვა.

წლეულს გრიბოედოვის თეატრმა გამოაცხადა მიღება სამსახიობო სტუდიაში, რომელიც თვით თეატრში და თეატრისათვის იმუშავებს. კონკურსში 30 ახალგაზრდამ გაიმარჯვა. ამჟამად ისინი ეუფლებიან სამსახიობო ხელოვნებას და ზაფხულში გამოცდას ჩააბარებენ თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, რომელიც მოამზადებს მსახიობებს სპეციალურად გრიბოედოვის თეატრისათვის. ასეთი კონკურსის გამართვა გადაწყვეტილია ყოველ ოთხ-ხუთ წელიწადში.

შარშან გრიბოედოვის თეატრმა დიდი ზეიმით აღნიშნა საქართველოში რუსული თეატრის დაარსების 125 წლისთავი.

თეატრი ხშირად აწყობს გასტროლებს რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ქალაქებში. წლეულს ზაფხულში გასტროლებს გამართავს კიევში, ოდესასა და კიშინიოვში.

ამჟამად თეატრის წამყვანი მსახიობი საქართველოს სახალხო არტისტი არჩილ გომიაშვილი იმყოფება აკადემიურ შვებულებაში. იგი მონაწილეობს ილფისა და პეტროვის „12 სკამის“ ეკრანიზაციაში. ფილმი ორსერიანია. მას იღებს „მოსფილმი“. არჩილ გომიაშვილი მთავარ გმირს — ოსტაპ ბენდერს ასახიერებს.

თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შალვა გაბესკირია და მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიგა ლორთქიფანიძე თეატრის მთელ შემოქმედებით კოლექტივთან ერთად განსაკუთრებული ხალისით მუშაობენ გემოვნებიანი მაყურებლების მაქსიმალური სიამოვნებისათვის.

მანანა რაზმაძე



მოხუცი და გაზეთი

ფოტოეტიუდი მალხაზ დათიკაშვილისა

ცა-ფირუზ, სმელეთ ზურმუხტო!





ტბევრის მარჯვენა სანაპიროზე აღმართული მრავალსართულიანი სახლის ერთ-ერთი ბინის სტუმარი ვარ.

მასპინძელი ქართველი კაცია — კეთილი, მართალი...

მის ფიქრსა და ოცნებებზე, გემოვნებასა და ხასიათზე, განწყობილებასა და სულიერ სიფაქიზეზე კარგად მეტყველებს მისი ბინის წვრილმანები — ქართული ფარდაგებით მოფენილი, კედელთან გაწოლილი გრძელი ტახტი, თიხის ჭურჭლისა და ეროვნული საკრავების საუცხოო კოლექცია — სვანური ჩანგი და დოლი, დიპლიპატო და ჩონგური, მოხატული სალამურები, შესანიშნავი საკუთარი ფერწერული ტილოები და მხიარულად მოგუგუნე ბუხარი.

უყვარს ჩემს მასპინძელს მეგობრებსა და ახლობლებთან თიხის ფიალით სადღეგრძელოს თქმა, ბუხრის წინ გაშლილ ტაბლაზე პურის ჭამა.

ჩვენი მიწის ღვინძლ შვილს ყველაფერი ჩვენებური უყვარს. ამიტომ აქ ყველა ნივთი, ავეჯი, როიალიც და პიანინოც ქართულია.

აქ, ამ საკრავებზე იღვრება მისი სული სიმღერებად.

ყოველდღიურად.
ყოველ ცისმარე.
ასე აქვს დაკანონებული.
დილაა თუ ბინდია...
ვინ არის იგი?

ადამიანი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ჩვენში ეროვნული საბჭოთა საესტრადო სიმღერის დაბადება, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის პირველი ქართული საესტრადო ანსამბლის პირველი მუსიკალური ხელმძღვანელი, მინიატიურების საესტრადო თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ბევრი საესტრადო მომღერლის აღმომჩენი და აღმზრდელი, ჩვენს ცხოვრებაში სამუდამოდ დამკვიდრებული ლირიკული სიმღერების შემქმნელი, სამი კარგი შვილის მამა, კომპოზიტორი და მხატვარი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი სანდრო მირიანაშვილი.

...მასპინძელს ვთხოვე, რაიმე მიამბეთ-მეთქი საკუთარ თავზე.

იუარა, აბა, ჩემზე რა უნდა ვთქვაო.

მე ერთი კაცი ვარ და დავიწყებ — ესაო, ისაო... აქეთ მოვდგები, იქით მივდგები... მოკლედ, ყველაფერს ვიტყვი და ბოლოს არაფერი დამრჩება ნათქვამიო.

მაინც შეევედრე. პასუხად მაგნიტოფონი ჩართო. ჯილდა დათუაშვილის ხმა დაირხა ოთახში. „იციან“, მღეროდა ჯილდა, „ამ ყაყაჩოებს, გზაზე რომ გვხვდებიან, ნეტავ რად სცხვენიათ“... ბატონი სანდრო სულგანაბული უსმენდა საკუთარი გულის ფეთქვას...

რა შეიძლება ითქვას სანდრო მირიანაშვილის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე? ძალზე ბევრი. მისი შემოქმედების რომელი მხარეც უნდა ავიღოთ, ყველა ხერხიოზულ დაკვირვებასა და შესწავლას მოითხოვს.

ბატონმა სანდრომ ერთხელ თქვა: არ მიყვარს სხვისი გატკეპნილი ბილიკით სიარული. რაოდენ კარგად ახასიათებს მთელ მის შემოქმედებას ეს სიტყვები. სანდრო მირიანაშვილი იყო პირველი, ქართული საკონცერტო ვოკალიზები რომ შექმნა, სასიმღერო-საცეკვაო ფორმები რომ დაგვიმკვიდრა ქართულ მუსიკალურ საესტრადო ლიტერატურაში. მან პირველმა შეუხამა ფორტეპიანოს სალამური, ჩანგი, დოლი, დუდუკი და სხვა ხალხური საკრავები.

შემთხვევითი როდია, რომ სანდრო მირიანაშვილის ერთ-ერთი სიმღერის სახელი — „დიელო“ დაერქვა ძალზე პოპულარულ საესტრადო ანსამბლს, რომ საფრანგეთში საბჭოთა ვარიეტეს გასტროლები „რერომ“ სანდროს სიმღერით — „ხუჭუჭათი“ დაიწყო.

...პირველი სიმღერა 14 წლისას დაუწერია იროდიონ ევდოშვილის ლექსზე „თეთრი ვარდი“. ხშირად მიმართავს ბესიკის, ილიას, ბარათაშვილის, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძისა და სხვათა პოეტურ შედევრებს. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქართველი პოეტი, სანდრო მირიანაშვილს რომ მისი ლექსი არ აემღერებინოს. პოეტ ხშირად მიმართავს მოძმე რესპუბლიკების პოეზიის საუკეთესო ნიმუშებსაც. სათვის იგი 700-ზე მეტი სიმღერის ავტორია.

თვალი კომპოზიტორის პოპულარობა კარგა გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. უცხოელ ოროლიორებს სიამოვნებით შეაქვთ მისი სიმღერები რეპერტუარში. ბატონმა სანდრომ თვითონაც იმოგზაურა საზღვარგარეთ — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმატებით გამართა კონცერტები ორმა ვოკალურმა კვარტეტმა მისი ხელმძღვანელობით.

დიდ ყურადღებას უთმობს კომპოზიტორი თეატრალურ დადგმებსაც. მან მუსიკალურად გააფორმა 60-მდე სპექტაკლი — ამ სპექტაკლების ბევრი სიმღერა მაშინვე აიტაცა ხალხმა.

— პატარების წინაშე როგორ იხდით ვალს?

პასუხად ბატონმა სანდრომ „50 ჩუქურთმა“ გადმომიღო — სახელმძღვანელო I-IV კლასებისათვის.

საიუბილეო 50 წლისთავზე სანდრო მირიანაშვილი სამშობლოს ორ ნობათს მიართმევს—წარმოგვიდგება როგორც კომპოზიტორი და როგორც მხატვარი. თბილისის ყველაზე დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება მისი საავტორო კონცერტი, ხოლო სურათების გალერეაში მოეწყობა პერსონალური გამოფენა.

...ოთახში კვლავ გაისმის სანდრო მირიანაშვილის სულის მდუღარებანი: „მინდა როგორმე გადაგივწყო“, „ნუთუ არ ნაღვლობ“, „დედავ, დედავ“, „დილაა თუ ბინდია“, „ცა-ფირუზ“...

ლირიკული, მგრძნობიარე განწყობილების მელოდიებს ვაჟკაცური, გაბედული სიმღერა ცვლის. კომპოზიტორი კი სულგანაბული უსმენს საკუთარი სულის ამღერებას, საკუთარი გულის ფეთქვას.

...ვტოვებ სახლს, რომელშიც ცხოვრობს კაცი კეთილი, მართალი, პურადი, ტკბილმოუბარი.

კაცი, რომლის სულიც სიმღერებად იღვრება.

ყოველდღიურად, ყოველ ცისმარე...
დილაა თუ ბინდია...

ლია მიქაძე

დაგემშვიდობებით, მოგვლიან

ალექსანდრე ვასილის ძე დიღმელაშვილს,

დაბადებულს 1918 წელს ქალაქ თბილისში, ეძებენ ძმა — **ვახტანგ**, ძმისწულები — **უშანგ, გურამ, ალექსანდრე, ქეთევან დიღმელაშვილები**, მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, ძველის ქუჩა № 17.

გიორგი ივანეს ძე შანიძეს,

დაბადებულს 1921 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამებაში, ეძებენ დედა — **ნინო**, დები — **თინა, ლალი**, ძმები — **მიხეილ, ალექსანდრე შანიძეები**, მცხოვრებნი თბილისში, ლენინის მე-2 შესახვევი № 5.

ივანე გედევანის ძე კაპანაძეს,

დაბადებულს 1918 წელს ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში, ეძებენ ძმები — **გრიგოლ, ოთარ, ელგუჯა**, და — **თამარ კაპანაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, II კვარტალი, 32 კორპუსი, ბინა 20.

კონსტანტინე ერმილეს ძე ფოფხაძეს,

დაბადებულს 1913 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ხონჭიორში, ეძებენ მეუღლე — **თამარ**, შვილი — **თამაზ ფოფხაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, შაუმიანის ქუჩა № 91.

ვლადიმერ ივანეს ძე კიკალიშვილს,

დაბადებულს 1914 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნაჯახაოში, ეძებენ მეუღლე — **თინა**, შვილი — **ნანული** კიკალიშვილები, მცხოვრებნი თბილისში, ხრამჰესის ქუჩა № 65.

ლავრენტი ფილას ძე წკრიალაშვილს,

დაბადებულს 1920 წელს ქალაქ გორში, ეძებენ დედა — **ანეტა**, მამა — **ფილა**, ძმა — **გიორგი**, და — **ვერა**, მცხოვრებნი ქალაქ გორში, გოგებაშვილის I შესახვევი № 11.

გოგი (გიორგი) მიხეილის ძე ოქროპირიძეს,

დაბადებულს 1922 წელს ქალაქ თბილისში, ეძებენ დედა — **ანა**, მამა — **მიხეილი**, და — **ქეთევან ბაღათურია**, მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, საბჭოს ქუჩა № 78.

იასონ მიხეილის ძე მახვილაძეს,

დაბადებულს 1913 წელს ქალაქ ქუთაისში, ეძებენ მეუღლე — **ლილი ცაგარეიშვილი**, შვილები **ლიანა** და **ზურაბ მახვილაძეები**, მცხოვრებნი ქუთაისში, ბესიკის I შესახვევი № 7.

ელიზბარ გიორგის ძე გოსტაშვილს,

დაბადებულს 1918 წელს სოფელ ზემო მაჩხაანში, ეძებენ და — **გულო გოსტაშვილი**, მეუღლე — **ნადია შიუკაშვილი**, შვილი **ელბერდი**, რძალი — **ნინო ალადაშვილი**, მცხოვრებნი ლაგოდეხში, რუსთაველის ქუჩა № 13.

პარმენ სარდიონის ძე ურეკაძეს,

დაბადებულს 1906 წელს ონის რაიონის სოფელ სორში, ეძებენ მეუღლე — **ქეთევან**, შვილი — **ზურაბ ურეკაძეები**, მცხოვრებნი სოფელ სორში.

ალექსანდრე გიორგის ძე საურის,

დაბადებულს 1914 წელს ქალაქ გორში, ეძებს და — **თამარ საური-ჩუტკერაშვილი**, მცხოვრები ქალაქ გორში, მახარაძის ქუჩა № 16.

იოსებ მინას ძე ნეფარიძეს,

დაბადებულს 1920 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ შუქრუთში, ეძებენ მეუღლე — **მარგალიტა**, შვილი — **აზა ნეფარიძეები**, მცხოვრებნი სოფელ შუქრუთში.

რედაქტორის მაგიერ
ვასილ მჭედლიშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.
ინდექსი 66488